№ 116 მთავრობის მოამბე ქოველდღიური გაზეთი წელიწადი მეექვსე

საქართველოს რესპუბლიკა

შაბათი 3 მან. პარასკევი, მაისის 28 1920 წ.

მთავრობის მოამბე. ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ბელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4მან. მე-4 გვ.3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

შრომის სამინისტრო

აცხადებს

სახელმწიფო და საზოგადო საწარმოო დაწესებულებების გამგე შპართველობის, კერძო საწარმოო დაწესებულებების მეპატრონეთა და აგრეთვე შრომის დამქირავებელთა საყურადღებოთ,

რომ სამინისტრომ შემოიღო მუშებთა და დამქირავებელთა შორის ანგარიშის გასასწორებელი ახალი წიგნი, რომლებიც უნდა დაურიგდეს ყველა მუშებს და მოსამსახურეებს, ძველი საანგარიშო წიგნის მაგიერ, მიმდინარე წლის 1-ლ ივნისამდე.

ამ ვადის შემდეგ გაუქმებულია ძველი. საანგარიშო წიგნები და ის დამქირავებლები, რომლებიც თავიანთ მუშებს და მოსამსახურეებს არ დაურიგებენ ამ ხნის განმავლობაში ახალ საანგარიშო წიგნებს,—პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი სარეწვაი შრომის შესახებ დებულების 212 მუხლის ძალით.

საანგარიშო წიგნი ღირს 10 მანეთი და შეიძლება მიღება შრომის კომისრებთან და შრომის სამინისტროს რწმუნებულებთან ტფილისში, ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ჰიათურაში, ტყიბულში, გორში, ბორჯომში, თელავში, სიღნაღში და გაგრაში. 511 3—3

შრომის სამინისტრო.

სახელმწიფო თეატრი

იწვევს სახელმწიფო თეატრში გუნდის მოყვარულებს

ქალთა და კაცთ, რომელთაც იციან კითხვა ნოტებისა. ჯამაგირის გარდა მიეცემათ სრული სასურსათო ხელფასი. მსურველთ ეთხოვებ ეხლავე ჩაეწერონ სახელმწიფო თეატრის კანტორაში 12 საათ. ნაშუადღ. 2 საათ. და 7—9 საათ. საღამოს. ხმების გასინჯვა მოხდება ამ მოკლე ხანში, რის ცნობაც შეიძლება გაიგოს თეატრის კანტორაში. 540 3—2

შრომის სამინისტროსაგან

თანახმად სატარიფო პალატის 21 მაისის დადგენილებისა, ყველა დამქირავებელმა (საზოგადო და კერძომ) ვისაც შუშები და მოსამსახურეებიც კი სარგებლობენ სახელმწიფო მოსარგების ფონდით, დაუყონებლივ შემოატანონ ახალი გადასახადი 1000 მან. თვითეულ კაცზე არა უგვიანეს 1 ივნისისა.

თუ პირველ ივნისამდი არ იქნება წარმოდგენილი გადასახადი, შემდეგ ამისა სურსათი არ მიეცემათ.

ფული შემოტანილ უნდა იქნეს ტფილისის ბანკში № 139185 ანგარიშით და კვიტანცია დაუყონებლივ წარედგინოს სამინისტროს მუშათა მაგიდას. 542 2—2

ქ. ტფ. მილიციის უფროსი

ამით ატყობინებს პატრონს ნაპოვნი შავი ტყავის საფულისას

რომელშიაც იყო (899 მ.) ექვსასი ოთხმოცდა ცხრამეტი მანეთი. პატრონი ზემოხსენებული საფულესი, უნდა გამოცხადდეს მილიციის უფროსისსამმართველოში სათანადო საბუთებით. 17 მაისი 1920 წ. 528 3—3

საქართველოს სატრანსპორტო საზ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების რწმუნებულ საგენტოში ქ. სოხუმში არის მოსული 3 მარტს ამ მიმდინარე წელს ხუთასი ფუთი (500) ხორბლის ფქვილი (ბარგის ბილეთი № 71) მე-11 მუხლის ძალით საზოგადოების წესდების, დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ზემო აღნიშნული საქონელი ქ. სოხუმში, თუ დღიდან ორი კვირის განმავლობაში არ იქნება პატრონისაგან გამოსყიდული, მაშინ საჯარო ვაჭრობით იქნება გაყიდული. გამგეობა. 544 3—1

სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

იწვევს უბნის მომრიგებელ მოსამართლეს ლაგოდების უბანში. მსურველთ უნდა მიმართონით თხოვნით და შესაფერი საბუთების წარდგენ ზემოაღნიშნულ გამგეობას. 525 1—1 ერობის გამგეობა

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი

სახალხო გვარდიის მობილიზაციით გამოწვეული ხარჯის დასაფარავად 55.400,000 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებისათვის ორმოცდა ხუთმეტი მილიონი ოთხასი ათასი (55.400,000) მანეთი სახალხო გვარდიის მობილიზაციით გამოწვეული ხარჯის დასაფარავად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მაისის 21.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

სახალხო გვარდიის 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამატებად 28.269,759 მან. გადადებისა.

1) გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებისათვის ოცდა რვა მილიონ ორას სამოცდა ცხრა ათას შვიდას ორმოცდა ცხრამეტი მანეთი (28.269,759 მან.) სახალხო გვარდიის 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამატებად ამ დეკრეტთან დართული ხარჯთ-აღრიცხვის ნუსხის თანახმად.

2) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მაისის 21.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

ნუსხა.

სახალხო გვარდიის 1919—1920 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის დამატებითი კრედიტისა.

№ № რიგ.	ხარჯის სახელწოდება.	ა ს ი. მ.
	მთავარი შტაბის შემდგენელ-მომწყობი განყოფილება.	
1	პროვიანციაში დროებით გაწვეულ გვარდიელთა შესანახად.	1250000
	მთავარი შტაბის მომარაგების განყოფილება.	
2	ნივთობრივ დასაკმაყოფილებლად	2413588
3	საჭმელ-სასმელისათვის . . .	9154044
4	ფურაჟისათვის	7033170
5	საგზაო და საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯისათვის . .	306002
6	სხვა და სხვა ხარჯისათვის . .	280880
	მთავარი შტაბის საინჟინრო განყოფილება.	
7	საარტილერიო მასალის დამზადებისა მიწოდებისა და იარაღის მოვლა-შეკეთებისათვის	104782
8	სხვა და სხვა ხარჯისათვის . .	43400
	საინჟინრო სატეხნიკო ნაწილი.	
9	საავტომობილო-სატეხნიკო ნაწილის ხარჯისათვის . . .	1761936
10	სამეურნეო-საოპერაციო ხარჯისათვის	424000
11	სხვა და სხვა ხარჯისათვის . .	509014
	მთავარი შტაბის ბინების მიმჩენი განყოფილება.	
12	ვაობმობა-განათებისათვის, წყლისათვის და ბინების წესიერად შენახვისათვის . .	615753
	მთავარი შტაბის მედიკურ-სანიტარული განყოფილება.	
13	სამეურნეო-საოპერაციო ხარჯისათვის	578400
14	ავადმყოფების შესანახად . .	794790
	სულ . .	28269759

ოცდა რვა მილიონი ორას სამოცდა ცხრა ათას შვიდას ორმოცდა ცხრამეტი (28269759) მან.

1920 წ. მაისის 21.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

საზღვარ-გარეთ სწავლა განათლებისათვის გაგზავნილ სახელმწიფო სტიპენდიატების შესანახად 12000000 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის სახალხო განათლების სამინისტროს 1920—1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში თორმეტი მილიონი (12000000) მანეთი საზღვარ-გარეთ სახელმწიფო სტიპენდიანტების შესანახად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მაისის 21-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვის 75.000,000 მან. გადადებისა აბრეშუმის პარკისა, თამბაქოსი და მატყლის მწარმოებელთათვის სესხის მისაცემად.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვის სამოცდა ხუთმეტი მილიონი (75.000,000) მან. აბრეშუმის პარკისა, თამბაქოსი და მატყლის მწარმოებელთათვის სესხის მისაცემად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხიდან სესხი მიეცემა მეურნეთა კავშირებს და კერძო მწარმოებელთ სახელმწიფო ბანკისა, კერძო საკრედიტო დაწესებულებისა, კოოპერატიული ბანკებისა და საზოგადოებრივი დაწესებულების საშუალებით.

3. სესხი მიეცემა მეურნეთა კავშირებს და კერძო მწარმოებელთ იმ პირობით, რომ მთელი თავიანთი მოსავალი მთავრობას ჩააბარონ.

4. მესამე (3) მუხლში მოხსენებული მოსავალის ნაწილს მთავრობა გაჰყიდის ადგილობრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ხოლო დანარჩენი გაგზავნილ უნდა იქნეს უცხოეთში.

შენიშვნა 1: მეოთხე (4) მუხლში აღნიშნულ განაწილებას აწარმოებს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა, მიწათ-მოქმედებისა და მომარაგების სამინისტროებისა, სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და მწარმოებელთა წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია. მწარმოებელთა წარმომადგენელს კომისიაში, დანიშნავს მეურნეთა კავშირი ან სამაზრო ერობის გამგეობა, სადაც კავშირი არ არსებობს.

შენიშვნა 2: საქონლის თვითღირებულება გამოკვლეულ იქნება განსაკუთრებული კომისიის მიერ, რომელიც უნდა შესდგეს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა, მიწათ-მოქმედებისა და მომარაგების სამინისტროების, ერობათა და მწარმოებელთა წარმომადგენელთაგან.

შენიშვნა 3: წმინდა მოგებად ჩაითვლება საქონლის განაღდებით შემოსული თანხა, თვითღირებულებისა და ყოველი სხვა ხარჯის გამოკლებით.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მაისის 21-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

18 მაისის სხდომა

დაესწრენ: ბ. ბ. ნ. ჟორდანია, ხომერიკი, არსენიძე, რამიშვილი, ერაძე, ლორთქიფანიძე, ანდრონიკაშვილი, ავალიანი, ნ. ჭიჭინაძე, გედევანიშვილი, ცინცაძე, ბახტაძე, ჭავჭავაძე, ჭარიცაძე, ალშიბაია, გ. ჟორდანია, ბ. ჭიჭინაძე, საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე, მდივანი დ. ლომიძე.

თანამდებობაზე დანიშვნა.

1. ყოფილი არტილერიის კაპიტანი სვანიძე ჩაითვალოს სამხედრო ატაშეთ უკრაინაში 1918 წ. 26 სექტემბრიდან.

2. პირველ სექტემბრიდან 1919 წ. დაენიშნოს მას ჯამაგირი, როგორც რესპუბლიკის სხვა ატაშეებს და საჯარო ხარჯები დაფარულ იქმნას სამხედრო ფონდიდან.

დახმარების აღმოჩენა.

გადაიდოს სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში 20 ათასი მან. სამხედრო ფონდიდან პოლკოვნიკ ივანე ყანჩელის ოჯახისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

მაისის 29 და 30-ს შრომის დღეა

ეპიდემიასთან ბრძოლაში დაღუპულ ექიმის ოჯახისათვის ჯახმარების აღმოჩენა.

გადაიდოს სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში 15 ათასი მანეთი ათ-ძაღიონიან ფონდიდან არდადაგის რაზეში პარტახტიან ტიფით გარდაცვალებულ ექიმ სიმონაშვილის ოჯახისათვის ერთდროული დახმარების აღმოსაჩენად, თანახმად დამფუძნებელი კრების 1919 წ. მაისის 30-ის კანონისა.

ტფილისის სასამართლო პალატის შტატის გადიდება.

იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა ტფილისის სასამართლო პალატის შტატის გადიდების შესახებ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

წისქვილის შესაძენათ თანხის გაღება.

1. უფლება მიეცეს მომარაგების სამინისტროს გაიღოს თავის თანხებიდან ორ მილიონ ნაბეჭდი (2.500.000) მან. თამამშევისაგან წისქვილის შესაძენად.

2. დაევალოს მომარაგების სამინისტროს წარმოუდგინოს მთავრობას წისქვილის გადაბაკეთებელ სამუშაოს ხარჯთ-აღრიცხვა.

თანხის გადაცემა.

სამხედრო და სიონის ტაძრებში მოგალობე გუნდის შესანახად მთავრობისაგან ყოველთვიურად გადაიდებული ხუთმეტი ათასი (15.000) მანეთი გადაეცეს სახალხო განათლების სამინისტროს.

ჩამორთმეულ ინვენტარის საფასურთა თანხის გამოთხოვა.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება კულტურულ მამულებში ჩამორთმეულ ინვენტარის საფასურად ყოფილ მესაკუთრეთათვის 97,708 მან. 55 კაპ. გადაიდოს შესახებ მიღებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

რესპუბლიკის ქალაქის მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

1. შინაგან საქ. მინისტრის მოხსენება, ტფილისის გამოკლებით, რესპუბლიკის ქალაქის მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა და საბიუჯეტო წლის ბოლომდე მთელი ხარჯების 50% სახელმწიფო ბაზინიდან გაღების შესახებ მიღებულ იქნას და სათანადო დეკრეტი გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

2. მომავალში მილიციის შტატები უნდა განხილულ იქნას მთავრობის მიერ.

ჭიათურის შავ-ქვაზე სამუნიციპალო გადასახადის შემოღება.

ჭიათურის შავ-ქვაზე შემოღებულ იქნას ქ. ჭიათურის, ფოთისა და შორაპნის ერობის სასარგებლოდ სამუნიციპალო გადასახადი 1 მან. 50 კაპ. ტონაზე აღნიშნულ გადასახადის დასახელებულ ქალაქთა და ერობის შორის განაწილება მიეცეს ფინანსთა და ჭიათურა-მერეწყლოს მინისტრს.

სათანადო დეკრეტი დამფუძნებელ კრებას წარედგინოს ფინანსთა სამინისტროს.

ექსპედიციის შტატის გადიდება.

ფინანსთა მინისტრის მოხსენება სახელმწიფო ქონების დამამზადებელ ექსპედიციის შტატის გადიდებისა და ამისათვის ერთი მილიონი მანეთის გადადების შესახებ მიღებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

შინაგან საქ. სამინისტროში

საქონლის წართმევა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა მიღებია სიღნაღიდან, რომ 14 მაისს საგარეჯოელებს წაუთმევიათ სოფელ კაკაბეთის მცხოვრებლებისათვის ორმოცდაორი მსხვილფეხა საქონელი. ერობას გამგეობა თხოულობს გაკეთებული ზარალის ანაზღაურებით.

გადმოხვეწილი რუსები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ფოთის ქალაქის მოურავის ამხანაგი ჩიტაიასაგან:

„გადმოხვეწილი რუსები, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან მოხალისეთა ჯარის სამსახურიდან ითხოვენ საქართველოს ტერიტორიიდან გასვლას კავკაზის გზით. გთხოვთ გვაცნობოთ შესაძლებელია თუ არა მივცეთ მათ ნება ტფილისში წასვლისა“.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ნება დართო მათ საზღვარ გარეთ გასვლისა მხოლოდ ზღვით და არა ტფილისით კავკაზში.

ლტოლვილები.

ნეიტრალური ზონის კომისრისაგან ცნობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომ სადგურ ხადახლოში თავი მოუყრია 40 ვაგონამდე ლტოლვილ ბერძნებს, რომელნიც თხოულობენ საქართველოს ტერიტორიით ბათუმში გამგზავრების ნებართვას.

ულუფა ლტოლვილებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ფოთის ქალაქის მოურავის ამხანაგი ჩიტაიასაგან:

„ჩრდილოეთიდან გამოქცეულნი სამოქალაქო ლტოლვილები, რომელთაც არა აქვთ საშუალება თავიანთი ხარჯით ისაზრდოონ მოითხოვენ დახმარების მსგავსად გადმოხვეწილ ჯარის კაცებისა. კომისია გთხოვთ თქვენს განმარტებას“.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ვერ სცნო შესაძლოთ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

შუამდგომლობა.

საქართველოს მეაფთიაქეთა კავშირის გამგეობამ, თანახმად კავშირის წევრთა მიმდინარე წლის 1—4 აპრილის დადგენილებისა, შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა:

1. დაარსდეს რესპუბლიკაში ცალკე სამმართველო ფარმაცევტიულ დეპარტამენტის სახით, რომელიც უშუალოდ უნდა ემორჩილებოდეს შინაგან საქმეთა მინისტრს. ამას გარდა ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში და სოხუმში უნდა მოეწყოს ზემო აღნიშნულ ფარმაცევტიულ დეპარტამენტის განყოფილებები, რომელნიც განაგებენ ადგილობრივ, თავიანთ რაიონში, საქმეებს.

2. დაარსდეს სახელმწიფო უნივერსიტეტთა 8 სემესტრიანი ფარმაცევტიული ფაკულტეტი, რომლის შესაფერი პროგრამა უნდა იქნეს გამომუშავებული პროფესორთა კოლეგიის მიერ. ამ ფაკულტეტზე მიიღებიან სტუდენტებათ საშუალო სასწავლებლის კურს დამთავრებულნი.

3. დამტკიცებულ იქმნას ამა წლის იანვარში შედგენილი საფთიაქო ნუსხა და დაარს დეს მუდმივი სანიმრო კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს ბაზრის მდგომარეობას და იმის და მიხედვით, თუ ბაზარზე რა ცვლილება მოხდება, თავის უფლებით მოუკლებს და მოუმატებს ფასებს ამა თუ იმ საფთიაქო საშუალებაზე და ამ რიგად ეს კომისია ყოველთვის თავის დროზე შეცვლის შემქმედ ნიხრის ფასებს შესაფერისად.

4. მოხდენილ იქმნას განკარგულება, რათა დასავლეთ საქართველოს მეაფთიაქეებს მიეცეს საშუალება შეიძინონ შაქარი და საწერი ქაღალდი შეღავათიან ფასებში მომარაგების სამინისტროდან, ვინაიდან ეს საგნები შედგენენ აფთიაქისათვის უსაჭიროეს საგნებს, ხოლო დღევანდელი ბაზრის პირობები და არსებული ნაირ ყოველად შეუძლებლად ხდის მათ შეძენას კერძო მოვაჭრეთაგან.

საფოსტო ტელეგრაფო საგნები.

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილების ტეხნიკურ სექციის უფროსისაგან მიღებული ცნობით სამხედრო მინისტრის მიერ დაომხილ იქმნა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის საჭიროებისათვის სხვა და სხვა საჭირო საგნები, ღირებული 286.900 მანეთად.

საეკლესიო კრებისათვის.

სრულიად საქართველოს ქათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ შუამდგომლობა აღძრა რომელიმე თანხიდან გადადებულ იქმნას სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მოსაწვევად 100.000 მანეთი.

მოქალაქენო, ხომ დარწმუნდით, რომ თავხედი ტერი ჩვენ სამშვიდობოთ გაწვდილ ხელს მორკილის დადებას ეპირება.

დამფუძნებელი კრება

23 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ეკ. თაყაიშვილი.**

ი. ფირცხალაიშვილი (სამ. გამ. წევრი) აკეთებს მოხსენებას დამფუძნებელ კრების მეორე დამატებითი არჩევნების შედეგის შესახებ. ამ არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 29,294 ამომრჩეველს. დამატებითი არჩევნების შემდეგ მეტრი გახდა 4,643. პირველმა ნომერმა დაჰკარგა სამი ადგილი, მე-2 ნომერს მიემატა ერთი დეპუტატი—პეტრე სურგულაძე, მე-3 ნომერს მიემატა 1 დეპუტატი—ივანე ლორთქიფანიძე, მე-8 ნომერს (ნაციონ. პარტია) შალვა ქარუმიძე.

განგრძობა მსჯელობისა აგრარულ რეფორმასთან შეკავშირებულ დავისა და სანიავრის განხილვის წესის დეკრეტის შესახებ.

ლ. შენგელაია აზრით სასამართლოს წესით აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული დავის გარჩევა გახანგრძლივდება, საქიროა დაარსდეს ერთი ისეთი ორგანო, რომელიც ყოველივე დავებს გაარჩევს. ორატორი წინააღმდეგია წარმოდგენილ დეკრეტის, რომელიც მისი აზრით აკანონებს მინისტრის უპასუხისმგებლობასო.

კ. ნინიძე. ჩემ მოხსენებაში მოკლეთ აღვნიშნე მთავარი დებულებები წარმოდგენილ დეკრეტისა, მე ვფიქრობდი აქ ყველა ფრაქციამ განაცხადა მომხრენი ვართ აგრარული რეფორმა დაჩქარებით გატარდესო. და მეგონა, რომ ეს დეკრეტიც დაკავშირებული ამ აგრარულ რეფორმასთან, არ გამოიწვევდა კამათს. ჩვენთვის აშკარაა, რომ ყოველივე ჯგუფს, რომლისაც მას რაიმე ზრახვები აქვს ისინი ამას სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა აყენებენ. ამ უბრალო საკითხმა იმიტომ გამოიწვია დავა და ასეთი ხანგრძლივი კამათი, რომ მათი განცხადება, გვსურს დაჩქარებით გატარდეს აგრარული რეფორმაო არ იყო გაულწრფელი.

ის, რაც აქ განაცხადეს არ არის პირადი აზრი ამა თუ იმ დეპუტატისა, ეს არის აზრი ჯგუფისა, ჩვენ რასაკვირველია არ უარყოფთ იმას, რომ ყოველივე დავა სასამართლოში, ამ მიუდგომელ დაწესებულებაში, უნდა ირჩეოდეს. თუ თქვენ გაიხსენებთ 28 იანვრის კანონს აგრარულ რეფორმის შესახებ დაინახავთ, რომ იქ აშკარადაა ნათქვამი. მიწის რეფორმის გატარება ევალება მიწათ-მოქმედების მინისტრისო. მიწათ-მოქმედების მინისტრს ევალებოდა ინსტრუქცია გამოეცა. მართალია მე გეთანხმებით თქვენ ამ ინსტრუქციაში არის მუხლები, რომელსაც კანონის ხასიათი ეძლევა და ამით სამინისტრო კანონმდებლობის როლსაც ასრულებს, მაგრამ ყველივე ამას ის აზრი აქვს, რომ რაც შეიძლება აჩქარებით გატარდეს აგრარული რეფორმა. ბ. გვახვას ჭკვნინი მინისტრს მიენდო რეფორმის გატარება, დავის გადაწყვეტა კი სხვასო. თუ ასე ვიმსჯელებთ ეს მივიყვანს იქამდე, რომ მიწის რეფორმას ვერ გავატარებთ. 28 იანვრის კანონის თანახმად მიწის რეფორმას ანხორციელებენ სარაიონო კომისიები, ერობები, სამინისტრო. ეს გზა თავდაგნე აყო არჩეული, ეს გზა არ არის ახალი.

იურისტმა გვაზვიად იცის, რომ ხშირათ სახელმწიფო იძულებული ხდება გამოაცხადოს საალყო წესები, სამხედრო-საველე სასამართლოები და სხვა. განა აშკარა არ არის, რომ 24 საათში შეუძლებელია სრული გამოკვეთა ადამიანის დანაშაულობის. აქ შეიძლება სამართლიანობა არ იყოს დაცული, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ ამას, და ეს ტარდება ცხოვრებაში. (გვახვა ადგილიდან: ეგ ომის დროს ხდება) სამეც მაგაში გახლავთ, რომ თქვენ აგრარული რეფორმა არ მივაჩნიათ დიდ საკითხად, დემოკრატიისთვის კი ეს უდიდესი საკითხი არის.

შემდეგ ორატორი ამტკიცებს თუ როგორ გაჭიანურდება აგრარულ რეფორმის გატარება, თუ ყოველივე დავა სასამართლოში გაირჩევა. აქ გაიძახიან მინისტრები უპასუხისმგებლონი არიან, მთავრობა არავის წინაშე პასუხს არ აგებს და სხვა.

დამფუძნებელი კრების წინაშე მთავრობა პასუხისმგებელია. მთავრობა უმრავლესობის პოლიტიკას ატარებს. შეიძლება თქვენ გსურდეთ, რომ მთავრობა ემორჩილებოდეს უმცირესობას. ეს არსად არ არის ასე. ფორმალურად მაშასადამე არსებობს პასუხის მგებლობა მინისტრის. რაც შეეხება არსებით მხარეს ეს ხალხს უნდა შეეკითხოთ ვის ენდობა იგი, თქვენ თუ ჩვენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მინისტრი აგრარულ რეფორმის ატარებს სამხრო ერობის, თემების საშუალებით. ერობა, რომელიც არეულია ოთხ ფორმულიან საარჩევნო სისტემის თანახმად, ეს ხომ მთელ ორატორული დაწესებულება არ არის, რომ საკითხი გაარჩიოს ის, რომ არ იქნას დაცული სამართლიანობა. რეფორმის გამტარებელ კომისიის დადგენილება შეიძლება განსაჩივრდეს ერობაში, ერობის სამინისტროში. მინისტრის დადგენილება მთავრობამ დამფუძნებელ კრებაში. ნუ თუ ყოველივე ეს საკმარისად არ მიგაჩნიათ. აქ შენგელაია მოითხოვდა განსაკუთრებული ორგანო დაარსდესო. ამ ორგანოს ხომ კონტროლი დასჭირდება, მაშასადამე უნდა შეიქნას ორმაგი ორგანო.

პრინციპიალურად რასაკვირველია მომხრე ვართ, რომ აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული საჩივრები ირჩეოდეს სასამართლოში, მაგრამ რადგანაც ისედაც გაჭიანურებულია რეფორმის გატარება ამიტომ ავი ადმინისტრატიულ წესით უნდა გადაწყდესო.

კამათი შეწყდა.

მომხსენებელი კითხულობს დეკრეტს მუხლობრივათ, რაც უკამათოდ იქნა მიღებული.

კ. ნინიძეს მოხსენებით უკამათოდ მიღებულ იქნა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა მევენახეობისა და მეღვინეობის ტფილისის და ქუთაისის სავაჭრო-ინდუსტრიალ კომიტეტის გაუქმებისა კონდოლის, ჩუქლაყის სანერგეების ეროებისათვის გადაცემის შესახებ.

კ. ნინიძეს მოხსენებით მიღებულ იქნა: კანონ-პროექტი მკვდრთაგან დატოვებულ და ყოფილ სახაზინო მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლის შესახებ. მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა კანონ-პროექტი მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა შტატის დამტკიცების შესახებ.

დ. ონიაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამაყო დაწესებულებათა საკანცელარიო გადასახადის ნიხრის გადიდებისა.

გრ. ნათაძის მოხსენებით უკამათოდ მიღებულ იქნა დეკრეტი საისტორიო, საარქეოგრაფო სამხატვრო და საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვისა.

ხ. ჯაფარიძის მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა სასამართლოს დაწესებულებათა დებულების მე-406² და 406 მუხლის შეცვლის შესახებ. ამ მუხლების თანახმად კერძო ვექილთ, რომლებიც მოვალენი არიან იმ მოწმობებში, რომელიც მათ ანიჭებს უფლებას აწარმოონ საქმე, როგორც ოქმის ისე პალატაში ნაცვლად 40მ. გადახდებით სამი ათასი მან., 65 მან. მაგივრად 5500 მან.

ძ. ჯაფარიძის მოხსენებით მიღებულ იქნა ტფილისის სასახლის საკანონმდებლო დაწესებულების საბინადრად აღიარებისა.

ი. მაჭავარიანის მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა ჯაშუშობასთან საბრძოლველად და მზვერავი ნაწილის თანამდებობის პირთათვის საგამომძიებლო უფლების მინიჭების შესახებ.

ვისაც არ შეუსრულებია თავისი მოვალეობა—ნუ დააყოვნებენ.

სამხედრო ცნობა

(ტფილისი, 27 მაისი მთავარი შტაბის ცნობები).

26 მაისს ჩვენმა და აღერბეიჯანის პარლამენტიორებმა დასხეს დროებით ზავი აღერბეიჯანის წინააღმდეგ არსებულ ყველა ფრონტზე ერთი კვირის ვადით.

ამ ერთი კვირის განმავლობაში ორივე რესპუბლიკის დელეგაციათა შორის იწარმოებს მოლაპარაკება ზავის შესაკვრელად.

დანარჩენ სხვა ფრონტზე სიწყნარეა.

26 მაისის დღესასწაული.

ჯერ დილის 9 საათი არ იყო, რომ ქუჩებში აფარებელ ხალხმა მოიყარა თავი. რუსთველის პროსპექტი ხალხით გაჭედილია. სხვადასხვა დაწესებულებები, მოწაფეები და პროფესიონალური კავშირები მუსიკით და

ყველა, ყველაფერი ფრონტისთვის

მორთულ ავტომობილებით მიეშურებოდნენ დანიშნულ ადგილს.

მშვენიერი დღე გათენდა, რაიც დღესასწაულს მეტი სიცოცხლე და სიმშვენიერე მისცა.

სახლები შესანიშნავად იყო მორთული.

საზეიმოდ განწყობილ ხალხს სიხარულის ელფერი ედო.

სრულ 10 საათზე ზარმაზარებმა არსენალიდან აცნობეს, რომ პროცესია დაწყებულიყო. ამ დროს პროცესიის კორტეჟი თავისუფლების მოედნიდან დაიძრა. პირველ რიგში გამომართა შვარდენი. საუცხოო სანახავი იყო. 3000 კაცი რიგრიგად მიდიოდნენ სტადიონზე, მათ წინ მაუძღოდათ მუსიკა და ეროვნული ალმები და დროშები.

შვარდენის შემდეგ გაიარეს სხვადასხვა სასწავლებლის მოწაფეებმა დროშებით, ეროვნული ალმებით და მუსიკით. იყო მრავალი ზედწარწერით: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოს", „გაუმარჯოს ინტერნაციონალს" და სხვა. შემდეგ პროცესიას მოჰყვებოდნენ ამქრები, აზნაურები, მეზობლები და აუარებელი ხალხი.

მორთულ ავტომობილთა და ეტლების შორის ერჩეოდა მორთული ავტომობილი „პოეზია".

სტადიონზე წყლ-რიგს განაგებდა ბაკაკი ფაღავა.

საუცხოო სურათი ეშლებოდა ადამიანს თვალწინ.

რიგ-რიგად, წყებით დაწყებული პროცესია მორთული ავტომობილები, ეტლები, ვაკეზე, როგორც გზაზე, ავრეთვე სტადიონზე მორთული ფანჩატურები, გადმოფარებული კარვები—ყველა ეს მოჰვარნებდათ რომელიმე დიდებულ საეკლესიო დღეობას, დღესასწაულს.

სრულ 12 ს. გამოჩნდა ძვირფასად მორთული ყვავილებში ჩაფლული ეტლი, რომელშიაც იჯდა ეროვნული საყვარელი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. მას გვერდს უშენებდა გარეშე საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი.

შემდეგ ასეთივე მორთულ ავტომობილებით და ეტლებით მოდიოდნენ სხვა მინისტრები დამოუძნებელ კრების წევრები და სააპტო სტუმრები.

აღფრთოვანებულმა ხალხმა თავის ქვეყნის წინამძღოლი „ვაშას" ძახილით და ტაშის გრიალით მიაცილეს საგანგებოდ გამზადებულ კარვებში. კარვები იდგა მაღლობ ადგილებზე, საიდანაც ვადაჭყურებდით სტადიონს და პროცესიას.

თვალწარმტაცი, მომხიბლავი სურათი იშლებოდა წინ: ამწვანებული მთები, რომელსაც აუარებელი მაყურებელი ხალხი მოჰფენოდა და აჭრელებულიყო ათასფერად, მზის სხივები აღსა სცემდნენ ყოველ ადგილს.

პირველ საათზე დაიწყო „შვარდენის" ვარჯიშობაც. ვარჯიშობის დაწყობის წინ კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის მიერ შესრულებული იყო ეროვნული ჰიმნი სამკურო. შორიდან მაყურებელთ—ეს სამოათასი მეტი „შვარდენის" ჭილ-ვაჟის ვარჯიშობა უზომო აღფრთოვანებას იწვევდა. საუკეთესო იყო პირველი ვარჯიშობა. გეგონებოდათ ზღვაზე გადაუგდიათ მოქარგული ბადეო. მშვენიერი მოქნილი, პლასტიური ნომრები ხანგრძლივ ტაშს და ოვაციებს იწვევდა.

ბოლოს შესრულებული იყო სიმბოლიური სურათი „საქართველოს ვარსკვლავი".

იქვე ცოტა მოშორებით მწვანეზე ახალგაზდებს გაეშართათ ქართული ჭიდაობა ზურნით. ხალხს სიხარულის კიჟინი ცასა სწვდებოდა.

დღესასწაულს ნამდვილი დღეობის ელფერი ედო.

ხალხი ერთი მეორეს ულოცავდენ დიდებულ დღესასწაულს. ყველანი სიხარულს მისცემოდენ. დიდი, პატარა, ღრმა მოხუცი თუ ახალგაზდა—ყველა გარეთ გამოსულიყო. მთელი სტადიონის მიდამოები კარვებით იყო მორთული. მახლობელ სოფლებიდან გლეხობა ჩამოსულიყო. შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები მაესალმენ გლეხებს: თქვენი დღვლათიანი და მადლიანი მარჯვენა ხელების შედეგია დღევანდელი ზეიმიო.

საღამოს მთელი ქალაქი გაჩირაღდნებულ-განათებული იყო. ზოგიერთ ადგილს შორიდან გეგონებოდათ სანლები ცეცხლში გახვეულანო. ჰაერში გაისმოდა შუშხუნების ზხეილი და ათასფერი ვარსკვლავებ ს ქვეყნდ-გუნდა სხივები ეფინებოდა ზეცას.

შესანიშნავად მორთული და გაჩირაღდნებული იყო მთავრობის და სამინისტროს შენობა, სასახლე, ქალაქის თვითმართველობა, არსენალი და მრავალი სხვა შენობები.

მოძრაობა დღეობა არ შეწყვეტილა ღამის 12 საათამდის.

პარია ქართველებმა თავის მოვალეობა შესანიშნავს მეომართადმი.

საფარიფო პალატაში.

სატარიფო პალატამ ყველა მწარმოებლებს და მათ ორგანიზაციებს, თავის კომისრებსა და რწმუნებულებს, მუშათა კავშირებს შემდეგი აცნობა ცირკულიარულად:

მოისმინა რა სატარიფო პალატამ მუშეჩინოვის მიმწოდებელ სახელმწიფო ფონდის მოქმედების მოხსენება და მიიღო რა მხედველობაში, რომ სურსათის, განსაკუთრებით პურის მიცემით მუშებისთვის იმ ფასსზე ნაკლებათ რაც თითონ ღირთ, შემცირდ ფონდის თანხა და მისი არსებობა კი აუცილებელია სურსათის მიწოდების ორგანიზაციისთვის—1920 წლ. მაისის 21-ს დადგინა:

1. ფონდის შესავსებათ და დეფიციტის დასაფარავათ, ყველა დამჭირავებლები ვალდებული არიან არა უგვიანეს ა. წ. 1 ივნისისა შემოიტანონ ახალი დადასხადი—1000 მ. თითეულ მუშაზე და მოსამსახურეზე.

2. ალიარონ, რომ ფონდის დეფიციტი დაფარულ იქნეს ყველა მის მონაწილეთა მიერ, როგორც სახელმწიფოს, ავრეთვე კერძო და სახელმწიფო დაწესებულებათა. მიერ.

3. დეფიციტის განაწილების საკითხი გადაიდოს მთავრობის აზრის გამოკვეთამდე.

4. წინამდელ გადასახადის ზარაფში გადატანის შესახებ მიენდოს პრეზიდიუმს ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკება. აცხადებს რა ზემოხსენებულს, სატარიფო პალატა წინადადებას აძლევს მწარმოებელთ დაუყონებლივ შეიტანონ 1000 მ. თითოეულ მუშაზე და მოსამსახურეზე.

სატარიფო პალატის თავმჯდომარე
გოლდმანი.

რესპუბლიკაში არ უნდა დარჩეს არც ერთი მხარე, კუთხე, რომ 29 და 30 მაისს არ გამოარსოს ფრონტის დღეები.

საგერძნეთის მისიის ცნობები

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარე პოლოს წერასი და სომხეთის კონსტანტინოპოლის და ანტიოხის პატრიარქები.

— მონარ ლუ ინგლისის მრეწველობის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ არის.

— სენატორმა ფრენსმა, რომელიც ეკუთვნის დემოკრატიულ პარტიას, ამერიკის სენატში შეიტანა კანონ-პროექტი, რომელიც მოითხოვს ამერიკისაგან ვერსალის დამხარებას ეკონომიურ კრიზისის გასანელებლად.

— ათინის პარლამენტმა მიიღო კანონი აწნისტიის, სამხედრო წესის და სამხედრო ცენზურის მოხსნის შესახებ.

— ფრანკიაში წესდება საგენერალ-გუბერნატორო.

— კონსტანტინოპოლის გაზეთი „ალემდარი" იტყობინება, რომ ტრაპეზუნდიდან და ანგორიდან წასული ანგორის კრების წევრნი დაუბოციათ სამსუნის მუსულმანებს.

ტფილისის ფრონტის დღეების მოწყობის სამხადისშია,

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ფრანგული პრესა.

პურის საკითხი საფრანგეთში.

საფრანგეთში საუცხოო პურის მოსავალს მოელიან. გამოსთქვამენ აზოს, რომ 1920 წლის მოსავალი მხარის საჭიროებას დააკმაყოფილებს იმ შემთხვევაში, თუ სულ თეთრი პურით არ მოიხდომებენ დაკმაყოფილებას. ეკონომისტებს ეშვი არ ეპარებათ, რომ მარტო ცხობაც კი იმის შესახებ, რომ ჩვენ არ დაგვჭირდება უცხოეთიდან შემოტანილი პური, ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში პურის ფასის დაცემას. ეს ფასის დაწევა ევროპის დიდ ბაზარზე უკვე სჩანს.

ეკონომიური მდგომარეობა ინგლისში.

სხვა და სხვა ნიშნები ინგლისში პირველ საჭიროების საგნებზე ფასის დაცემისა იმედს გვაძლევს, რომ საერთოდ ფასები დაეცემა. კომერსანტები ინაწილებენ იმ აზრს, რომ შეუწყვეტელი ფასის დაწევა გავლენას იქონიებს ქარხნების ნაწარმოებზედაც. „ტაიმსი" სწერს: ინგლისში და ამერიკაში ნაწარმოებებზე ფასის დაცემას და მოუხედავათ, კომერციულ წრეებში ფიქრობენ, რომ ფასის მუდმივი დაწევა საგნების დამუშავების გაძლერებაზეა დამოკიდებული... შესაძლებელია, განაგრძობს გაზეთი, რომ ზოგიერთი საგნის ფასი დაეცეს, მაგრამ არავითარი ჩვენება არ არის ფასის საერთო დაცემის შესახებ. ყველაფერი ეს ეხება სასურსათო საგნებს. იუწყებიან, რომ შესაძლებელია ინგლისში ფეხსაცმელების ფასი დაეცესო. ნორსამპტონის ფაფრიკანტებს მაღაზიებში გამოუწდათ დიდძალი ფეხსაცმელი, რომელიც არ საღდება.

უნგრეთი.

უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა დანიშნულია ვერსალში 4 ივნისისთვის.

სომხეთის საზღვრები და ვილსონი.

ელჩთა კონფერენცია გაეცნო ამერიკის მთავრობის განცხადებას შესახებ იმისა, რომ პრეზიდენტი ვილსონი მზათ არის თავის თავზე მიიღოს შუამავლობა სომხეთის საზღვრების გამოკვლევაში.

ფინანსიური კონფერენცია.

ბალხთა ლიგის საბჭომ გადასწყვიტა ბრიუსელში დანიშნული საერთაშორისო ფინანსიური კონფერენციის სხდომები ივლისის პირველ ოცეულებისთვის გადასდოს.

ინგლისის ჯარი და მესოპატამია.

ლონდონიდან მოსული დეპეშის თანახმად არაბეთის წარმომადგენლებთან შეთანხმების გამო, მესოპატამიისა და სირიის საზღვრების შესახებ ინგლისის ჯარი ელბუკამელიდან გაიყვანეს.

კახვინის ევაკუაცია.

„პტი პარიზიენი" იუწყება: ინგლისის რაზმი, რომელმაც ენზელი დასტოვა, რეშტის ევაკუაციას ახდენს და კახვინ და თეირანის მიმართულებით მენჯლის ხიღისკენ იხევს. რუსები ენზელის დაკავებას განაგრძობენ.

ფასი ხორბალზე.

მინისტრთა საბჭო შეიკრიბა დილით მილიერანის თავმჯდომარეობით, საბჭომ საბოლოოდ მიიღო კანონ-პროექტის ტექსტი, რომელიც ხორბალზე ფასის დაწესებას შეეხება.

უკრაინაში. პოლონეთის ჯარის მდგომარეობა არ შეცვლილა.

შეხვედრიდან იუწყებიან, გერმანიის 6 გამანადგურებელის მოსვლის შესახებ. ისინი საფრანგეთისთვის არიან დანიშნულნი.

ათინიდან იუწყებიან: საბერძნეთის მთავრობამ საფრანგეთის ჯარს ოფიციალურად მოულოცა ფრაკიაში საბერძნეთის ჯართან თანამშრომლობის გამო.

სპარსეთის შახი მიეიდა ბაღდადში, სადაც იგი ინგლისის წარმომადგენლებმა მიიღეს.

ტყვეების გაცვლა.

გერმანიამ და რუსეთმა ხელი მოაწერეს კონფერენციას ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

საზავო კონფერენცია.

საზავო კონფერენციამ გერმანიის დელეგაციას ნოტა წარუდგინა მოთხოვნილებით, რომ ის არის კომისიაში დანიშნული პოლკოვნიკი კისლანდერი შესცვალონ. გაზეთების სატყვით ეს კისლანდერის ყოფაქცევამ გამოიწვია (დამახინჯებულია), მან მოაწყო ობსტრუქცია, უარი განაცხადა კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებაზე და ბრძანება გასცა, რომ მის ტეხნიკურ აგენტებს მუშაობა შეეწყვიტათ. გამოჩენილმა ამერიკელმა გერმანერტ ხაუსტონმა, რომელმაც რამდენიმე დღე პარიზში გაატარა, გაზ. „ტანს" შემდეგი განუცხადა: „ამერიკას სურს დაუხმაროს საფრანგეთს ეროვნულ აღორძინების საქმეში. ეს მე შემიძლია განვაცხადო კატეგორიულად". ის, რასაც საფრანგეთი ამჟამად აკეთებს საუცხოოა. მე გავიარე გზა 480 კილომეტრი. მთელ ამ ადგილებში ნგრევნაირი მუშაობა სწარმოებს. ყველა თავის საქმეს აკეთებს. საერთოთ ის, რაც მე ვიხილე განადგურებულ ოლქებში, მე შემიძლია აღვნერშო ავრეთვე საფრანგეთის ყველა ოლქშიც. ყველა ის, ვინც აცხადებს, რომ საფრანგეთი არ მუშაობსო, ან ვერ ხედავს კარგად, ან შეგნებულად სტყუის. საფრანგეთის გადაროთოების ვაჭრობა უაღრესს ასეთ შეხედულებას. მე მკითხეს მიიღებს-კი ამერიკის ხალხი მონაწილეობას საერთაშორისო პირების ყიდვაში, რომელიც გამოსვებული იქნება გერმანიის მიერ საფრანგეთის ანაზღაურება შესამუშუქებლად მე ამაზე უყოყმანოთ ვუპასუხე, რომ ჩემის აზრით, კი მიიღებს-თქო.

ამერიკას სურს, რომ საფრანგეთმა აღადგინოს ზარალი, რომელიც ომმა მიაყენა, ეს უბრალო სამართლიანობის საკითხია, და საჭიროა რომ ეს გადახდა რაც შეიძლება მალე მოხდეს. განადგურებული ოლქების მცხოვრებლებმა დაიწყეს მუშაობა და მით მომავლისადმი თავისი რწმენა დაამტკიცეს. მათთვის აუცილებელია დაუყონებლივი კრედიტი თავისი მიზნების მისაღწევათ. მე საკმარ კარგად ვიცნობ ჩემს ქვეყანას, რომ ვსთქვა, რომ ის შეასრულებს თავის მოვალეობას. მეორეს მხრით, როგორც მე ამიხსნა ყველა ფრანგმა, ვისთანაც კი მე ვიმაასე, აუცილებელია, რომ გერმანიამ მოკავშირეებს თავისი განიარაღების დაუყონებლივი გარანტიები მისცეს.

ახალი ამბები

◆ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია 27 მაისს ლანჩხუთში გაემგზავრა. მისი მოვალეობის აღსრულება დაევალა ვარეშე საქმეთა მინისტრს ევგ. ჰ. გეგეჭკორს.

◆ ტფილისში მოელიან ამ ჟამად მოსკოვში მყოფი ტრედ-უნიონისტების. როგორც სარწმუნო წყაროები ირწმუნებიან ტრედ-უნიონისტების ტფილისში ჩამოსვლის მიზანია გაიცნონ საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა.

◆ დამფუძნებელ კრების სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „ჩვენ არტაანში მყოფი მეცხრე ათასიანის ჯარის კაცები გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის ორი წლის თავს. იარაღით ხელში მზად ვართ მის დასაცავად".

◆ 26 მაისს საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა სომხეთის მინისტრთა თავმჯდომარე ოვაჯანიანისგან მიიღო შემდეგი დეპეშა: ჩემი მთავრობის და სომხეთის ხალხის სახელით გილოცავთ და გულწრფელ სალამს გიძღვნით საქართველოს დამოუკიდებლობის ორი წლის შესრულების გამო. გულწრფელად გისურვებთ, თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს აყვავებას და ქართველ ხალხის სუვერენულ უფლების დაცვას. მე მრწამს რომ ორი მეზობელი, მეზობელ ხალხი, შეერთებულნი მტკიცე ურთიერთ და სოლიდარული განწყობილობით, შესძლებენ დაიცვან თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა და ეს შეძლების მისცემს მათ დაადგნენ თავისუფალ განვითარების გზას და განავითარონ თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება".

◆ შაბათს, 29 მაისს, სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში დანიშნულია საქმის და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების უნეროს მასწავლებელთა კავშირის კრება საღამოს სრულ 8 საათზე. განსახილველი საკითხები: 1) კავშირის პრეზიდიუმის არჩევნები, 2) მიმდინარე საკითხები.

◆ დამფუძნებელ კრების, მთავრობის თავმჯდომარის და სამხედრო მინისტრის სახელობაზე 26 მაისის დღესასწაულის გამო მოსულია მისასალმებელი დეპეშები: სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე საკანიანისგან, გურიის მაზალიონისგან სოფ. ანაგიდან, ველისციხიდან, ზარაგაულიდან, ცხინვალიდან, ქ. ბათომის ქართველ ებრაელებისგან, გორიდან, ზუხრანიდან, ესტონეთის წარმომადგენელთაგან, ელლინთა ნაციონალურ საბჭოსაგან და სომხეთის რევოლიუციონურ პარტიის „დაშნაკცაკანების" სარაიონო კომიტეტისგან.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით რესპუბლიკაში გამოცხადებულია

ცხენების მობილიზაცია. მობილიზაციის დღის უკანასკნელი ვადა 30 მაისია.

◆ მოქალაქე ა. ბებუთაშვილმა ქალაქის მოურავს განუცხადა რომ ვაკეზე სტადიონისთვის სწორავს 4 დესიატინა მიწას.

◆ ქონმა ელ. ჟურულმა ქალაქის გამგეობას გადასცა 200 წყინი გასასყიდად და სრული შემოსავალი ფონტის დამხმარე კომიტეტის გადასცემად.

◆ იმ ხორბლიდან, რომელიც მომარაგების სამინისტრომ მიიღო, ამ უკანასკნელ დღეებში ამერიკიდან და იტალიიდან ტფილისში 24 და 25 მაისს უკვე მოვიდა პირველი პარტია—40 ვაგონი.

ვაგონების ტკივრთა ხორბლით ფოთში ზღვა ყოველ დღე რეგულიარულად.

◆ დეპუტატმა აკ. ჩხენკელმა სოხუმიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „გიგჰავნით ფრონტისათვის ქართულ ეროვნულ საბჟოს სახელით ასი ათას მანეთს და გთხოვთ უყიდოთ ჩვენს სახელოვან გმირებს, რესპუბლიკის დამცველთ თქვენი სურვილისამებრ საჭიროები. ქართულ ეროვნულ საბჟოს თავმჯდომარე ქემი გრიგოლა.

დეპ. ჩხენკელმა სამადლობელი დეპეშით აცნობა, რომ თანხის მიღებისთანავე ის მას გადასცემს დამფუძნებელ კრების კომისიას, რომლის თავმჯდომარე თვითონ არის, და ეცდება გადაუგზავნოს ჩვენს დამცველებს საჭიროებით.

◆ ახალი ჟურნალი „ახალი ნაკადი“ პერიოდულ სზხოგადოებრივი, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი გამოვა ამ დღეებ, ში. ჟურნალში უმთავრეს მონაწილეობას მიიღებენ პროფ. მიხ. წერეთელი, პრ. სიმონ ავალიანი, გ. ჯავახიშვილი, გრ. დიასამიძე, ალ. წერეთელი და სხ.

◆ „თეატრი და ცხოვრება“-ს სავანგებო —მაისის 26—ნომერი (19) გამოვიდა. შემკულია მრავალი სურათით: მოთავსებულია-სხვათა შორის, პროფ. ს. ავალიანის, ივ. ელიავშვილის და სხ. წერილები, ავგრეთვე ერთმოქმედებიანი პიესა „მზის ამოსვლამდი“ და ლექსები. შემდეგი ნომერი გამოვა ივნისის 6.

შეცდომის გასწორება:

ჩვენი გაზეთის სადღესასწაულო, 26 მაისის ნომერში მოთავსებულ მთავრობის თავმჯდომარის სოროკინ კორეტტორის უყურადღებობის გამო ქვეშ ჰქონდა წარწერა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარე“, რასაკვირველია, უნდა ყოფილიყო: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე“.

ქალაქთა კავშირში

საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა აუწყა რესპუბლიკის ქალაქთა თვითმართველობებს, რომ ამა წლის ივნისის, შუადღის 12 საათზე ქალ. ტფილისში გაიხსნება ქალაქთა წარმომდგენლების ყრილობა, რომელზედაც დელეგატები გამოგზავნილ უნდა იქნენ თანახმად ქალაქთა კავშირის დებულების მ. § 4, სახელდობრ: „წარმომდგენელთა ყრილობაზე დასასწრებლად ირჩევენ ქალაქთა თვითმართველობანი ერთს თვითეულ ოც ხმოსანზე; თუ ხმოსანთა რიცხვი უნაშთოდ არ იყოფა ოცზე, ნაშთი ათი ან მაზედ მეტ უფლებას იძლევა დამატებითი წარმომადგენელზე“...

ხსენებულ ყრილობის პროგრამა ჰქმედგია:

1) მოხსენებები ადგილებიდან.

2) ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის განყოფილებათა მოხსენებები.

3) 1919 წლის ანგარიშები.

4) 1920 წლის შემოსავლისა და გასავლის ალრიცხვა.

5) კითხვა ქალაქთა სპეციუალიტო უფლებისა.

6) მუნიციპალური პოლიტიკა.

7) კავშირის მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

8) ყრილობაზე წარმოსთქმილ კითხვათა განხილვა.

არჩეულ წარმომადგენლებს სთხოვენ დანიშნულ დროზე გამოცხადდენ ყრილობაზე.

რკინის გზაზე

გზათა სამინისტროს დეპარტამენტის დარეგისტრირის განკარგულებით, მატარებელი № 5, რომელიც სალამ. 5 საათზე გადიოდა ტფილისიდან, 27 მაისიდან ღამის 11 საათ. და 44 წ. გავა ტფილისიდან და ბათომში მივა დღის 1 საათზე.

— საქართველოს რკინის გზის სამართველოს რწმუნებული სომხეთის რკინის გზასთან მოძრაობის უფროსი რევიზორი კ. იოსელიანი 26 მაისს ერევანში გაემგზავრა.

— 25 მაისს ერევნიდან ჩამოვიდა პოლკ. ჰასკელი და აცნობა გზათა უფროს, რათა მისიის ცალკე წევრებს არ მიეცეს ნისიათ ბილეთები მისიის ანგარიშში. პოლკ ჰასკელი იმავე დღეს ბათომში წავიდა.

მილიციაში

სისხლის სამართლ. მილიციის მოხელეებმა მათი უფროსის ბ. ფაჩულიას მონაწილეობით შეიტანეს ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში ფულად 14550 მან. და საჩუქრები.

მილიციის უფროსმა სამსახურიდან დაითხოვა მილიციის აგენტი მიხეილ ცქიტიშვილი და მეოთხე კომისარიატის უფროსი მილიციონერი ვ. კანდელაკი სამართალში მიცემით, რომლებიც ოცი ათას მან. ქრთამის აღებას ებრალებენ ძმ. ჩილინგაროვებისაგან.

წერილი რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა გამოუცხადო პრიკმხერ ავანეს საიამიანცს, (მალაკნის ქუჩა № 6) რომელთანაც დავრჩა საფულე 40.300 მანეთით; რაოდენიმე საათის შემდეგ ფული უკლებლივ უკანვე დამიბრუნა.

მთავრობის სტამბის გამგე **გ. მ. აგანეზოვი**

განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი პაპუნ ზაქარიას ძე იოვაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 954 3—3

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული ლექციების წიგნაკი ნიკო ილიას ძე შაფაქიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1152 3—2

დაიკარგა პასპორტი № 16, სიმონ ბეჭრუჩკოს სახელზე, მიღებული უკრაინის გენერალურ საკონსულოდან კავკასიაში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1204 3—2

დაიკარგა მოწმობა სათადარიგო ოფიცერის სიმონ ანტონის ძე ლორიასი ტფილისის სამხედრო უფროსისაგან მიცემული. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1125 3—2

დაიკარგა გრაფის ქუჩაზე № 8 მდებარე მიხეილ მონასელიძის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1238 3—1

დაიკარგა ასატურის შესახვევში № 17 მდებარე მარიამ ოსკონოვის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1094 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა ალექსი სიმონის ძე ჯაფარიძის სახელზე, მიღებული მე- 11-ტე ბათალიონიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1091 3—3

დაიკარგა სამხედრო „უფროსის მიერ მოცემული მოწმობა სამხედრო ბეგრიდან ერთი წლით განთავისუფლების შესახებ ერთი წლის მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. პატ. აკაკი ალ. ვასაძე. 1079 3—3

დაიკარგა პასპორტი გერასიმე (ივანე არიუთინ) ეგორის ძე ვართანოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1099 3—3

დაიკარგა დისმენოვის ქუჩაზე № 20 მდებარე მიხეილი პეტრიაშლავეცევის სახლის დავთარი, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1102 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 286 ლაზარე გიორგის ძე მათიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან 1911 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1065 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოხდის ვადის გაგრძელების მოწმობა № 6459, ნიკოლოზ არსენის ძე ჩაჩუას სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1919 წ. 12 ნოემბერს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1071 3—2

დაიკარგა სასურსათო ბარათი ტატე იმედაშვილის სახელზე № 6845, 3 სულის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1122 3—2

დაიკარგა რესტორანში ვაჭრობის ნებართვა № 1096, მიღებული ქალაქის გამგეობიდან 1920 წლ. 24 აპრილს და ქალაქის კასაში 300 მ. შეტანის კვიტანცია № 930. რაც ყველ სოლომონის ძე ბაზაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1093 3—1

დაკარგა საბინაო წიგნი სტეფანოვების სახლისა, რომელიც მდებარეობს კარაკლისის ქ., № 8, მე-8 უბან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1066 3—1

დაიკარგა პასპორტი № 338, მიცემული გორის მაზრის კომისარიატიდან არუთინ სერგის ძე აირაპეტოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1148 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიცემული ტფილ. მილიციის სამართველოდან თამარ ბასილის ასული არხიპოვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1123 3—1

ქ. ტფილისის მეოთხე უბნის სასამართლოს ბოქაული ვ. კ. აბაშიძე, ამით აცხადებს, რომ 1920 წლის 7 ივნისს, დილის 10 საათზე, მის მიერ მოხდება საჯარო ვაჭრობა ოლეა მიგუზოვის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს პიანინოს და სხვა ავეჯეულს და დაფასებულია 16.800 მ. ხოლო აღწერილი ივანე დიაკონოვის ძიებულ 12.000 მან. დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა მოხდება სპაპორის ქ., სახ. № 26, პანკრატოვის სახლის ეზოში. 1217 1—1

ქ. ტფილისის მეოთხე უბნის სასამართლოს ბოქაული ვ. კ. აბაშიძე, ამით აცხადებს, რომ 1920 წლის 5 ივნისს დილის 10 საათზე, მის მიერ მოხდება საჯარო ვაჭრობა ნიკო პლუშნიკოვის და ნიკო გოლდენბერგის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს დამარილებულ თევზს (სელდი) და დაფასებულია 10.450 მ., ხოლო აღწერილი კონსტანტინე ნასიძის ძიებულ 15.156 მ. დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა მოხდება მუხრანის ქ., № 17, ვოლნიკის სარდაფში. 1218 1—1

მეორე კურსისტ. ელენე ლავრენტის ასული ჩიმაკაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მატრიკული. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1170 3—1

დაიკარგა პასპორტი № 2713 ევდოკია პაპლეს ასული დონდუსკის სახელზე, მიღებული რუსთა ნაციონალურ საბჭოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1075 3—1

დაიკარგა მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოს მიერ გაცემული 22 ენკენისთვეს 1910 წ. № 4331 პასპორტი უისა ყაზარის ძე არუთინიანის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1074 3—1

დაიკარგა სოლოლაკში № 2 კონდახირეის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1134 3—1

დაიკარგა პასპორტი № 281 ლუკკერია გიორგის ასული საკაძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1139 3—1

დაიკარგა ასიგნობებები №№ 9554, 9556, 9557, 9558, 9559, 9560, 9561, 9562, 9567, 9568, და 9569 9570, 9571, 9572. მიცემული ტფ ქ.სამმართვ. ბაროლომე ალექსის ძე კილაძის სახელზე, სულ 140.000 მანეთის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს მისამართით: ველიამინოვის ქ., № 3, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 1132 3—3

ბართლომე ალექსის ძე კილაძე აცხადებს გაუქმებულათ ვექილობას № 2504 მიცემულს მის მიერ კირილე ალექსის ძე კილაძეზე და შედგენილს ტფილისის ნოტარიუსს კარაკაშით 1919 წ. სექტემბრის 4-ს. 1133 3—3

დაკარგულია სამხედრო ბეგრის ვადის გაგრძელების მოწმობა № 178 აკაკი ივანეს ძე ჭარჩავას სახელზე, მიღებული ზუგდიდის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1156 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების მოწმობა გიორგი ილიას ძე ჩაგორიძეს სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო ღრიცხვის უფროსისაგან 1920 წ. 12 მაისს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1067 3—3

დაიკარგა ნაყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსის ნოტარიუსის მიერ 28 აპრილს 1919 წელს № 548. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1227 3-1

დაიკარგა საბინაო დავთარი სომეხთა ნერსესიანის სემინარიის მამწყოსა, რომელიც იმყოფება მესამე კომისარიატში მუდლების დარუსის ქუჩებზე, № 1/2. 1147 3—1

დაიკარგა 1919 წ. საბინაო წიგნაკი, რაზეზეი ქ., № 14 მდებარე სახლისა, ფოჩხიძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1172 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა გაცემული გენერალური შტაბის მიერ 1918 წ. 1912|5815 ვასილი მიხეილის ძე პაპიაშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1183 3—1

დაიკარგა ტფილისის მეორე ქალთა გიმნაზიის მიერ გაცემული მოწმობა და გორის ქალთა გიმნაზიის შვიდი კლასის დამთავრების ატესტატი ანნა იაკობის ასული შიხინოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1177 3-1

დაიკარგა ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოს მიერ გაცემული მოწმობა № 5417 ამაკ ავანჯანის ძე ვანიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1175 3—1

დაიკარგა ტფ. სასულიერო სემინარიის ორი კლასის დამთავრების მოწმობა გაბრიელ ევგენის ძე ჩიკვაიძის სახელზე, მიღებული ტფ. მე-8 გიმნაზიიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1154 3—1

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის აქციონერული საზოგადოება „ვაზური ღვინო“-ს გამგეობას, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისში, მეორე საკომისარო უბანში, რუსთაველის ქუჩა, დაუკარგავთ ღვინის შემოსავალ-გასავლის დავთარი, დადასტურებული სახელმწიფო კონტროლის მიერ 1920 წლისთვის 183 №-ით, ეს დავთარი ამიერიდგან ითვლება გაბათილებულად. 1161 1—1

დაიკარგა ტფილისის კერძო ლომბარდის 2000 მან. ბილეთი № 87667. გაუქმებულად ჩაითვლება. 1117 3—1

დაიკარგა პასპორტი ბოგდან სერგოს ძე ოგანჯანოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამართველოდან 1911 წლ. გაუქმებულად ჩაითვლება. 1118 3—1

ქ. ტფილისის მე-7 უბნის სასამ. ბოქაული სვიატოდუხოვი ამით აცხადებს, რომ 1920 წ. მაისის 31-ს, დილის 10 საათ. დანიშნული საჯარო ვაჭრობა ვლადიმერ ცვეტის მოძრავ ქონებაზე იოსებ ნოვინსკის ვალის დასაკმაყოფილებლათ. ქონება შეიცავს დიდ სარკეს მუხის ჩარჩოში და შეფასებულია 3750 მ. ვაჭრობა მოხდება ქ. ტფილისის მე-10 უბ., კირკის ქ., № 12. 1144 1—1

24 მაისს, დილის 10 საათზე გოლოვინის პრ. დაიკარგა პატარა 4 წლის ბავშვი—ქალია, მარცხენა კანჭზე წითელი ნიშანი აქვს, ჭრელი თვალები, ქერა თმა, ტანზე ხოლიანი ქვედა ტანი და წითელი ზედა ტანი აცვია. მნახველს ვსთხოვ ბავშვი მოიყვანოს, გოლოვინის პრ. № 18. მეეზოვე ბაღდასარ კირაკოზოვთან. უფ. 3—1

საქციზო სასამართლო ამით აცხადებს, რომ პაპიროსის ქალაღდის ქარხნის პატრონებს არშაკ ანდრიასოვს და ოგანეს შარაბიანცს დაუკარგავთ ტფილისის სახელმწიფო ხაზინიდან პაპიროსის ქალაღდის ბანდეროლების გამოტანის ნებართვის მოწმობა № 6-ით 14 იანვრიდან 1920 წ. ეს მოწმობა ამიერიდგან ითვლება გაბათილებულად. 1162 1—1

ვაუმჭმე ვექილობას, მიცემულს ჩემ მიერ ანტონ სოლომონის ძე თამარაოვზე. 3—1

დაიკარგა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ გაცემული მეტრიკული ოლეა სოლომონ რუსაძის ასულის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ)

დაიკარგა პასპორტი № 1540, მიცემული დონის როსტოვის პოლიციის სამართველოდან ვასილ მიხეილის ძე ტარანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1111 3-1